# მეხუთე მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) – 1:1 (1:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა, ხუნდაძე, ღოღობერიძე, ხასაია (გაგნიძე), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

“ზენიტი”: ლაზუნოვი, მეშჩერიაკოვი, შიშკოვი, გეკი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, ცარიცინი, ბატანოვი, ხრაპოვიცკი, ი. მოროზოვი (ო. მოროზოვი), ივანოვი.

მსაჯი: კ. დემჩენკო.

“დინამოს” დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა უპირატესობა და ლენინგრადელები იძულებული იყვნენ დაცვაში ეთამაშათ, მაგრამ მასპინძელთა იერიშები მალე ჩაქრა და “ზენიტს” საშუალება მიეცა გაეთანაბრებინა თამაში. იერიშის დროს დინამოელები, რატომღაც, ყველა ბურთს აგზავნიდნენ მარჯვენა ფლანგზე ხასაიასაკენ. სწორედ ამის წყალობით მინდვრის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა და კარგად დაწყებული იერიში სისტემატურად იშლებოდა და იგივე შეტევა თავიდან დასაწყები ხდებოდა. სულ რამდენიმეჯერ იქნა ბურთი მოწოდებული მესხისაკენ და ყოველი მისი დრიბლინგის შემდეგ ლენინგრადელთა კარი აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. საჭირო იყო თამაშის გადატანა მარცხენა მხარეს, რაც თბილისელებმა არ გააკეთეს.

სულ სხვაგვარად თამაშობდნენ ზენიტელები, რომლებიც ყოველგვარ პირობას უქმნიდნენ თავიანთ ყველაზე აგრესიულ და შედეგიან თავდამსხმელს, მარცხენა გარემარბს ა,. ივანოვს. სწორედ ივანოვმა გამოიყენა “დინამოს” მცველთა შეცდომა, გადაინაცვლა ცენტრში და შორი მანძილიდან ზემო კუთხეში ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი – 1:0.

ორი წუთის შემდეგ მელაშვილი გავიდა ორ მცველს შორის, “ცხრიანში” გაგზავნა ბურთი და ანგარიშიც გათანაბრდა – 1:1, მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ იგივე ივანოვის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს და თბილისელთა კარი გადარჩა გოლს.

მეორე ტაიმში ხასაიას ნაცვლად მინდორზე გამოვიდა გაგნიძე, რომელიც თავის წინამორბედზე გაცილებით უკეთესად თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ ბურთები უწინდებურად მხოლოდ მარჯვენა ფრთაზე იგზავნებოდა, შეტევას მეტი ეფექტი და შედეგი ჰქონდა. უფრო აქტიური გახდა ბარქაია, რომელმაც მეტი მხარდაჭერა ჰპოვა მარჯვენა მხრიდან. აქედან იქნა მოწოდებული, რამდენიმე ბურთი კარის წინ და “ზენიტის” მცველებსა და მეკარეს ზოგჯერ ზედ კარის ხაზიდან გამოჰქონდათ ბურთები. იყო მომენტები, როცა გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ დინამოელები ან აგვიანებდნენ ან არაზუსტად ურტყამდნენ და ლენინგრადელთა კარი უვნებელი რჩებოდა.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

თქმა არ უნდა, რომ თბილისის “დინამომ” პირველი ხუთი მატჩი სუსტად ჩაატარა, მაგრამ ამ წარუმატებლობის გამო ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ. ახლა საჭიროა მთელი ძალების მობილიზება და კოლექტიური, შეთანხმებული მუშაობა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. გუნდი ძირითადში ახალგაზრდულია. მას სჭირდება გამხნევება, მხარდაჭერა, ახალი ძალებით შევსება, გამაგრება, რათა შენარჩუნებულ იქნას ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიცია. ამ საპასუხისმგებლო საქმეში გუნდს უნდა დაეხმარონ თითოეული ფეხბურთის მოყვარული და პირველ რიგში რესპუბლიკის ფიზკულტურულ–სპორტული ორგანიზაციები.

**რ. ქორიძე.**
**“ლელო”, 22 მაისი, 1958 წ.**